საქართ მეშარეტ. სოც.-ფედ. სარეკ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან.—ნოხბაჯრელი
4 „ 30,000
ხამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 411 ოთხშაბათი, თებერვლის 7 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი
„ტრიბუნა“
1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მოწერათათვის დაგზავნით და სახლში მიტანით
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.
გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34
ფოსტის ყუთი № 190.

იმპერიალიზმი და ეროვნული საკითხი

როგორც ძველად დიდი სახელმწიფონი თავის ტერიტორიის გასაფართოებლად და მეზობელ ხალხთა და ერთა დასამონებლად ცეცხლითა და მახვილით იბრძოდენ ისე ეხლა მე-20 საუკუნის დასაწყისში „კულტურული კაცობრიობა“ კვლავ ამავე მეთოდებს მიმართავს.

„კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკური ისტორიის გადაფურცვლისას ჩვენ სისხლის და ცრემლ..ს მორევში შევდივართ, რომელიც ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ ყოფილა გამოწვეული უძლურთა ფენებში.

იმპერიალიზმი, ომისა და ბრძოლის აზრითი და შინაარსით გაჟღენთილი ერთი, წუთითაც ვერ ისვენებს სისხლიანი სურათების გარეშე და მსოფლიოს ფატალურად მიაქანებს დიდი სამხედრო კონფლიქტებისაკენ, რაც კაცობრიობას თვითმკვლელობას უქადის.

თანამედროვე წყობილება ერთი მუჭა პარაზიტების სამფლობელოს წარმოადგენს და ამ შიშველი და შემზარავი ფაქტის დასაფარად არის ხოლმე მოგონილი სხვა და სხვა პოლიტიკური სისტემები უფლებრივი სახელმწიფოს ატრიბუტები, რომ უფრო მკრთალი იყოს მასისათვის სინამდვილის საშინელება.

რაც დღეს ხდება კულტურული გერმანეთის მიმართ საფრანგეთის იმპერიალიზმისაგან ეს მხოლოდ ერთი დიდი ფაქტია იმპერიალისტურად ხალხთა ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტისა.

დიპლომატიის ისტორიის გასწვრივ იმპერიალისტური კონფერენციები საუკეთესო ნიმუშია ყოველგვარ სამართლის ფეხქვეშ გათელვისა. ამ მხრივ ხსენებული კონფერენციები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ძალთა განწყობილების ოდენობით. ძირითადი დებულება მაინც ურყევი რჩება და ეს დებულება იმაში მდგომარეობს რომ რეაურულ ძალთა განწყობილება ხდება საკითხების გადამწყვეტი.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა რეალური ძალა მშრომელი ხალხის გაცარცვითაა შექმნილი, რომელიც მიმართულია კვლავ ახალ-ახალი გაცარცვისაკენ.

ლოზანას კონფერენციის მუშაობა იმპერიალისტური კონფერენციის ტიპიური მაგალითია, სადაც მხოლოდ ერთად-ერთი ხმა გაისმის არა იმპერიალისტური ტონისა და შინაარსის.

აღმოსავლეთი დაჩაგრულ ერების სამშობლოა. აღმოსავლეთის საკითხი ევროპის დიპლომატიისათვის მოუშორებელი საკითხია.

შესაძლებელი ხდება სხვა და სხვა ძალთა განწყობილება, სხვა და სხვა პოლიტიკური ნიუანსები, რომელიც ხან ერთ იმპერიალისტურ ქვეყანას ანიჭებს გამარჯვებას ხან მეორეს, მაგრამ დამარცხებულთათვის საკითხი მაინც გარკვეულია—იგი დამარცხებულის ბედს ვერ იშორებს თავიდან.

ოსმალეთის საკითხი ავადმყოფი საკითხია ევროპის კაბინეტებისათვის. კერზონის პოლიტიკა უეჭველად ემყარებოდა საფრანგეთის დელეგაციის დათმობას, რომელმაც თავისი მხრით რურის ოლქის ოკუპაციის საკითხში მიიღო დათმობა.

ყოველივე ეს დიპლომატიური საიდუმლოებაა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობამ უკვე იჩინა თავი და საფრანგეთის დელეგაცია თანახმაა სეპარატიული ხელშეკრულების დადებაზედ.

როგორც რადიო-დეპეშა გადმოგვცემს მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზედ გამოურკვეველია. არავინმა არ იცის შესდგება თუ არა მორიგი სხდომა კონფერენციისა.

შექმნილი მდგომარეობა ოსმალეთისათვის მეტად ხელსაყრელია.

დღეს როგორც აზიაში, ისე თვით ევროპაში იმპერიალისტურად სჭრიან ერთა უფლებებს და თუ ერთი მხრით სრუტეები სურთ სამხედრო გემების ბანაკად აქციონ, მეორე მხრით გერმანეთის ერის წინააღმდეგ აღმართულია მახვილი.

მშრომელმა ხალხმა იცის იმპერიალისტური სასაკლაოების საშინელება. მან კარგად იცის იმპერიალისტების მიერ ეროვნული და სოციალური კითხვის გადაჭრა და იგი გაერთიანებული ფრონტით უნდა გაუმკლავდეს განათლებული კაცობრიობის ბარბაროსობას, მე-20 საუკუნის ჯალათობას.

საბჭოთა მუშაობა და ინტელიგენცია

„არა კომუნისტებთან კავშირის გარეშე, მოღვაწეობის სხვა და სხვა დარგში, არავითარს ჯანსაღ კომუნისტურ აღმშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება“.

ნ. ლენინი.

ინტელიგენციის შესახებ მრავალგვარი შეხედულებანი არსებობენ და სხვა და სხვა პოლიტიკური ჯგუფები სხვადასხვა გვარად ხსნიან ინტელიგენციის როლს **საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში.** ჩვენი რევოლიუციონური პერიოდისათვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ინტელიგენციის ბუნებისა და მისი როლის გამორკვევა სოციალისტურ მშენებლობის პროცესში.

კერძოთ ჩვენს ცხოვრებაში მეტად საპატიო და დიდი ადგილი ეჭირა ინტელიგენციას. დღემდე არსებითად იგი უძღვებოდა ქართული ცხოვრების ვითარებასა და აძლევდა ტონს ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგს. **რევოლიუციამ სოციალურ კლასების რადიკალური გადაჯგუფება** მოახდინა და ჩვენი ცხოვრების მესაჭე მშრომელი გლეხობა და ქალაქის პროლეტარიატი, ფართო მშრომელი მასა შეიქმნა. როგორ შეიცვალა ფსიხიკა და როლი ჩვენი ინტელიგენციისა ამ დიდ ცვლილებასთან ერთად?.

ჩვენში არის გავრცელებული ყალბი შეხედულება ინტელიგენციაზე, რომელიც ამ უკანასკნელს კლასური საზომით ხსნის და ერთი კლასის კატეგორიაში აქცევს. ეს შეხედულება ძირშივე შემცდარია და ინტელიგენციის არსებით ბუნებას ვერ ხსნის. ინტელიგენცია თავისი შემადგენლობით დეკლასიური ჯგუფია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და იგი საერთოდ შესდგება, როგორც ბურჟუაზიულ ინტელიგენტების, ისე პროლეტარულ ელემენტებისაგანაც. ამის და მიხედვით ინტელიგენციის დამოკიდებულებას სოციალურ რევოლიუციასთან ეძლევა სხვა და სხვა ხასიათი. როგორც ბურჟუაზიამ, ისე მისი წრიდან გამოსულმა და მისი იდეოლოგიის გამტარებელმა ინტელიგენციამ აშკარა ომი გამოუცხადა სოციალურს რევოლიუციას და მისი მოსისხლე მტერი შეიქმნა. ეს რეაქციონური ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა ყველგან და ყოველს მომენტში რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლასა და მან გააჩაღა უწინარეს ყოვლისა სამოქალაქო ომი მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინიც კლასიური მტრები არიან სოციალისტური მშრომელი ხალხის და ამიტომ მათ არსებობას დიდმა რევოლიუციამ კისერი მოსტეხა.

ამის დიამეტრალურ საწინააღმდეგო კატეგორიას წარმოადგენს ის ინტელიგენტური ძალები, რომელნიც პროლეტარულ იდეოლოგიის მესვეურები არიან, რევოლიუციონურმა ინტელიგენციამ მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებსა დ შეურყეველს საფუძვლებზე ააგეს თავიანთი სისხლით მოპოებული მუშურ-გლეხური სახელმწიფო. დღეს ეს ინტელიგენცია პროლეტარულ მასის რიგებში დგას და შეუდარებელს სიმამაცით იცავს რევოლიუციონურს ფრონტს ყოველის მიმართულებით. შიგნით იგი ენერგიულად აწარმოებს ფართო საალმშენებლო მუშაობასა და, გარეთ სახელმწიფოთა დიპლომატიურს ურთიერთობაში, შეუდარებელის სიმამაცით არკვევს ჩვენი რესპუბლიკების სავალს გზებს. ყველა ამ ფრონტებზე ბრძოლა და მუშაობა დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს ინტელიგენციისაგან და იგიც უხვად იღებს თავის სულიერ ძალასა და ფიზიკურ ღონეს ხალხის სასარგებლოდ.

სულ სხვა ბუნების მატარებელი არის წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია; იგი პოლიტიკურად ბეცია და შორს მჭვრეტელობას მოკლებული. მას არ აქვს გარკვეული კლასიური შეგნება და არც პროგრამა. ამიტომ იგი შეუჩერებლივ ქანაობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და, საითაც მეტს სარგებლობას ხედავს, იქით იხრება. მისი სასწორიც. რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც საბჭოთა წყობილება დიდ ეკონომიურს კრიზისს განიცდიდა, ამ ინტელიგენციამ ზურგი შეუბრუნა რევოლიუციას და ბურჟუაზიასთან ერთად ებრძოდა ახალს ხელისუფლებას. წვრილი ბურჟუაზიული პარტიები მენშევიკ-ესერებისა ენერგიულად მიუძღვოდენ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს საბჭოთა წყობილების გასანადგურებლად. ამით გამართლდა ნოე ჟორდანიას დებულება,რომელიც 1905 წელში იმეორებდა მარქს-ენგელსის აზრს, რომ „დემოკრატია“ სოციალური რევოლიუციის მოსისხლე მტრად გამოვაო; სამწუხაროდ ამ მოსისხლე დემოკრატიის იდეოლოგობა და ხელმძღვანელობა თვით ნ. ჟორდანიას ხვდა წილად ჩვენში.

დღეს ახალი ხანა იწყება საბჭოთა ცხოვრებაში, რომელიც ფართო საალმშენებლო მომენტებით ხასიათდება. საბჭოთა მუშაობა.

რეში. მოლვაწეობის სხვა და სხვა დარგში, არავითარ ჯანსაღ კომუნისტურ აღმშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება“. (იხ. ჟურ. „კომუნიზმის დროშა“ № 2—3, გვ. 3).

ერთი მთავარი ელემენტთაგანი, რომელთანაც კავშირის გაბმა დასჭირდება საბჭოთა ხელისუფლებას, ეს არის აუცილებლად ინტელიგენცია. სანამ პროლეტარიატს არ გამოუზდია თავისი საკუთარი ინტელიგენცია ყოველ დარგში, მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს არსებული ინტელიგენციით სარგებლობა. დაპყრობა ამ ინტელიგენციისა,—აი მორიგი და მეტად სერიოზული ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

Saunus

რურის ოლქის ოკუპაცია

უიარაღო ბრბოსათვის ხროლის ატეხა.

ჰანოვერი 6 თებერ. ესსენიდან იტყობინებიან, რომ კომუნისტური მიტინგის შემდეგ სადგურის წინ მოგროვილ ბრბოს საფრანგეთის ჯარებმა აუტეხეს სროლა ტყვიის-მფრქვეველებიდან.

ფრანგების ბატონობის შედეგები.

ჰანოვერი 6 თებერ. ფრანგების საკვირველ ბატონების შემდეგ კობლენცის რკინის გზის სახელოსნოებში საესებით გაფუჭებულია ლოკომოტივები, ინსტრუმენტები გაბნეულია, ინვენტარი განადგურებულია. უზომოდ გასვრილია შენობები.

გმირი კაპრალი სროლას უტეხს ბავშვებს.

ჰანოვერი 6 თებერ. დიუსელდორფში, 3 თებერვალს საფრანგეთის კაპრალმა ყოველ მიზეზს გარეშე, სროლა აუტეხა ბავშვების ჯგუფს და მძიმედ დასჭრა ქალი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

სურდა რა მიეჩქმალა თავისი დანაშაული, კაპრალმა ამოიღო კომპენსაციის სახით 100,000 ქალ. მარკა, რითაც გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება. გერმანიის მთავრობის რწმუნებულმა გაიღო ქალის დასაკრძალავად წინასწარი ხარჯებისათვის 200,000 მარკა.

ოკუპაციის გაფართოვება.

ჰანოვერი 6 თებერ. საფრანგეთის ჯარებმა ოფენბურგის და აპენვეიდლერის გარდა დაიკავეს აგრეთვე გოლდელაუს სალგური, რაითაც შეწყვეტილია რკინის გზის მოძრაობა ფრანკფურტთან და მანგეიმთან. ლიუდვიგ სგაფენის ოლქში ჯარების კონცენტრაცია აიხსნება შანგემანის დაკავების განზრახვით. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებს განზრახული აქვთ დაიკავონ ბადენი.

ოკუპაცია გამოიწვევს მთელ ევროპაში მიმოხვლის მოშლას

ჰანოვერი, 6 თებ. გერმანიის სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ რკინის მოძრაობის მოშლა გერმანიაში წარმოადგენს მოძრაობის მოშლას მთელ ევროპაში, ვინაიდან შეწყვეტილია აგრეთვე საზღვარგარეთის სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლაც.

რკინის გზის მოძრაობის შეზღუდვა გამოწვეულია ნახშირის სიმშილით, რომელიც გამოწვეულია ფრანგების მიერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაჩაგროს სუსტი უარაღო მეზობელი.

მოსახლეობის გადაწყვეტილება—შეურაველი წინააღმდეგობა

ჰანოვერი, 6 თებ. გერმანიის კანცლერმა კუნომ, რომელმაც ინახულა ესსენი, ბოხუმი და დორტმუნდი, მცხოვრებლებთან საუბრის დარწმუნდა, რომ რურის ოლქის მოსახლეობა მზად არის ყოველივე წინააღმდეგობა გაუწიოს ფრანგებს.

მარტო ნახშირით არ კმაყოფილდებიან.

ჰანოვერი. 6 თებ. საფრანგეთის წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მოსალოდნელია აიკრძალოს დაკავებულ ოლქიდან გერმანიაში ნახშირის პროდუქტების შეტანაც.

ამის გამო ბერლინის გაზეთი „მონტაგ პოსტი“ აღნიშნავს რურის ოლქიდან ნახშირის პროდუქტების გატანის აკრძალვა გამოიწვევს ოკუპაციის გაფართოვებას ბურპერტალიამდე.

პუანკარეს განცხადება.

მოსკოვი. 6 თებ. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს პუანკარემ აღნიშნა, რომ საფრანგეთს სურს მხოლოდ აინაზღაუროს თავისი ზარალი და თავიდან აიცილოს ახალი თავდასხმის საშიშროება. „ჩვენ სთქვა პუანკარემ, არავითარ დათმობაზე არ წავალთ, ხოლო თუ საჭირო იქნება, გავაძლიერებთ რეპრესიებს“.

სტინესის ესსენში გამგზავრების გამო.

მოსკოვი. 6 თებ. საფრანგეთის პარლამენტის წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ სტინესის ესსენში გამგზავრებას. მასში ხედავენ ცდას საფრანგეთის მრეწველებთან უშუალო დამოკიდებულების განახლებისათვის.

დახმარება რურის მცხოვრებთათვის

მოსკოვი. 6 თებ. რეიხსტაგმა გადასდო 500 მილიარდი მარკა რურის და რეინის ოლქის მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

ნახშირი ინგლისიდან

მოსკოვი, 6 თებ. გერმანიის მრეწველებმა დაიკვეთეს ინგლისში ნახშირი 400 ათასი გირვ. სტერ.

დახმარება რურის მუშებისადმი

მოსკოვი, 6 თებ. ჰოლანდიის ტრანსპორტელების და მღებავების კავშირებმა გაუგზავნეს რურის მუშებს 240 მილ. მარკა.

მოწოდება ამერიკისადმი

მოსკოვი, 6 თებ. გერმანიაში გამოქვეყნებულია გერმანიის თავისუფალ და ქრისტიანულ კავშირების მოწოდება ამერიკისადმი, რომელშიაც გამოთქმულია თხოვნა, რათა არ დასტოვონ უყურადღებოდ გერმანიის დამშეული მცხოვრებლები. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ამერიკა ისევე პასუხისმგებელია იმ ტანჯვისათვის, რომელსაც ამ ჟამად განიცდის გერმანია.

გარდინგს არ სურს ჩარევა

ჰანოვერი, 6 თებერ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის ხალხის მოწოდების საპასუხოდ, რურის საქმეებში ამერიკის ჩარევის შესახებ, პრეზიდენტ გარდინგმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ გამოვა სამედიატორო მოსამართლედ ევროპის კონფლიქტში.

„უველაფერი რიგზეა“

ლიონი, 6 თებ. მდგომარეობა რურში და რეინლანდში დამაკმაყოფილებელია, რეპრესიები გერმანელ მოხელეების წინააღმდეგ გრძელდება.

საფრანგეთის ჯარების მიერ ოფენბურგის და აპენვეირის სადგურის დაჭერა გამოწვეულია იმის გამო, რომ გერმანიის ხელისუფლებამ ბრძანება გასცა მატარებლების დაკავების შესახებ.

ბორდო, 6 თებ. დღე მშვიდად ჩატარდა. არც ერთი ვაგონი ნახშირი არ გასულა გერმანიის დაუკავებელ ადგილებში.

ლოიდ ჯორჯის აზრი

ნაუენი, 6 თებ. ლოიდ ჯორჯმა ინტერვიუში განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია არის უდიდესი შეცდომა, რომელმაც შეუძლებლად გახადა კონტრიბუციის შესრულება და მიიყვანა მთელი ქვეყანა უდიდეს საფრთხემდე. მას არ სჯერა, რომ საფრანგეთი რურში შევიდა მხოლოდ კონტრიბუციის მისაღებად.

ლოზანას კონფერენცია

ნაზავი ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ.

მოსკოვი, 6 თებერვალი. 3 თებერვლის ლოზანას კონფერენციის პლენუმის სხდომაზე ოსმალოებმა უარი სთქვეს მოქავშირეების მიერ მიწოდებულ ხელშეკრულების ხელის მოწერაზე.

ოსმალოებმა კატეგორიულად გაილაშქრეს უცხოელთა პრივილეგიის წინააღმდეგ და მტკიცეთ მოითხოვდენ ბერძნების მხრით სარეპარაციო ხარკების გადახდას, ოსმალოებმა დათანხმდენ მოსულის საკითხის ერთა ლიგის განსახილველათ გადადებაზე, ხოლო იმ პირობით თუ მოსულში ერთი წლის განმავლობაში დაცული იქნება ეხლანდელი მდგომარეობა.

2 საათის უნაყოფო კამათის შემდეგ ინგლისელმა დელეგაციამ სხდომა დასტოვა.

5 თებერვალს ლოზანიდან მიემგზავრება კერზონი.

ლოზანიდან მოსულ ცნობებით მოკავშირეები უკანასკნელ წუთს ცდილობდენ არსებითად დაეთმოთ ოსმალოებისათვის ჰალიპოლიის და აღმოსავლეთ ფრაკიის საკითხების ირგვლივ, მაგრამ ამან არ იქონია გავლენა ოსმალეთის დელეგაციის გადაწყვეტილებაზე.

სტამბოლისაკენ მიიმართება 8 ინგლისელთა კრეისერი.

სრუტეების მომწესრიგებელი კომისიის სხდომა.

მოსკოვი, 6 თებერვალი. სრუტეების მომწესრიგებელ კომისიის სხდომაზე ჩიჩერინმა თავისი ბრწყინვალე სიტყვაში დაამტკიცა არა კეთილსინდისიერი საქციელი კერზონისა, რომელმაც ჩამოაშორა რუსეთი სრუტეების საკითხის განხილვისაგან და რომელსაც ეხლა სურს მოახვიოს რუსეთს თავზე ისეთი შეთანხმება, რომელსაც დამღუპველი გავლენა ექნება რუსეთზე.

ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთი არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებაზე სრუტეების შესახებ და დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას.

მოკავშირეების მოლაპარაკება ოსმალოებთან.

მოსკოვი. 6 თებერვალი „უკანასკნელ ხანს მოკავშირეები და ოსმალოები განუწყვეტლივ თათბირობენ მოკავშირეთა დელეგატები დიდ ხანს თათბირობენ ოსმალეთისადმი შესაძლებელ დათმობის საკითხის შესახებ. შესაძლებელია, რომ მოკავშირეები ნახევრად. ოფიციალურ მოლაპარაკების დროს შეეცდებიან საბოლოვო ფორმაში ჩამოასხან ხელშეკრულება—სრუტეების შესახებ.

ბალკანეთი ქვეყნების ხოლიდარობა

მოსკოვი. 6 ზოგიერთი ბალკანეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ვერ გაბედეს კერზონის წინააღმდეგ გამოსვლა, სხდომის შემდეგ ჩიჩერინს განუცხადეს თავის ძალდატანება.

ოსმალეთის განცხადება.

ჰანოვერი. 6 თებერვალი—ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ კონფერენციის ჩაშლის მიზეზად ასახელებენ მხოლოდ ოსმალეთში უცხოელების მფარველობის საკითხს. ფაქტიურად კი კონფერენცია ჩაიშალა ეკონომიურ საკითხების გამო, რომლებითაც სურდათ ოსმალეთის სრული დამონავება.

საფრანგეთი აფრთხილებს.

ლონდონი. 6 თებერვ. საფრანგეთის მთავრობამ მიუთითა ინგლისის მთავრობას კონფერენციის გადადების აუცილებლობაზე, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ისმეტი ფაშა მიიღებს ახალ კომპრომისს. იმავე დღეს საფრანგეთის მთავრობამ მეტად მნიშვნელოვანი გაფრთხილება მისცა ინგლისის მთავრობას, მიუთითა რა კონფერენციას ჩაშლის გამო შექმნილ სერიოზულ მდგომარეობაზე. საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს, რათა ოსმალეთს გაეგზავნოს საერთო ნოტა, განცხადებით, რომ მოკავშირეები ლოზანას კონფერენციის ჩაშლას არ სთვლიან საზავო მოლაპარაკების შეწყვეტათ „დეილი მეილი“ სთვლის ამ წინადადებას ნაბიჯად საზავო მოლაპარაკების განახლებისა და იმ მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ, რომელიც ევროპაში შექმნა ლოზანას კონფერენციის ჩაშლამ. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში არსებობს აზრი, რომ ლოზანას კონფერენციის ჩაშლა არ გამოიწვევს დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას. „დეილი მეილი“-ს ცნობით ისმეტ ფაშას ჰქონდა მნიშვნელოვანი თათბირი გარრონისთან და აგრეთვე შეერთებული შტატების წარმომადგენელთან უაილდთან.

ლორდ კერზონი უარს ამბობს პრესისთვის ცნობის მიცემაზე.

ლიფფილდი. 6 თებერვ. ლორდ კერზონმა უარი განაცხადა მისცეს რაიმე ცნობა პრესას საბოლოო გადაწყვეტილებამდე, რომელიც უნდა გამოიტანოს ბრიტანეთის კაბინეტმა.

უცხოეთი

ხაბერძნეთი.

პარიზი. 6 თებ. ლოზანას კონფერენციის ჩაშლამ გამოიწვია სენსაცია საბერძნეთში. მინისტრთა საბჭო შეიკრიბა სპეციალურად შექმნილ მდგომარეობის განსახილველად.

კომუნისტების დევნა.

რომი. 6 თებ. მანიფესტის აღმოჩენის

განათლების საქმე საქართველოში

(განათლების სახკომის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენებიდან

(გაგრძელება*)

სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს საინსტრუქტორო განყოფილება არის ამ სამმართველოს ყოველგვარ მისწრაფების გამტარებელი. საინსტრუქტორო განყოფილებამ დაათვალიერა სახალხო განათლების ბევრი ადგილობრივი განყოფილებანი.

4. შრომის სკოლის პრინციპების, მეთოდების და ორგანიზაციის განსამარტებლად მოხდა კონფერენციები 8 ადგილას.

სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს ინსტრუქტორებმა წაიკითხეს მთელი რიგი მოხსენებებისა.

საინსტრუქტორო კოლეგია თვეში ორჯერ მართავდა სხდომებსა და თავისი გეგმის განსახორციელებლათ დრო-გამოშვებით ათვალიერებდა ქალაქ ტფილისის ყველა სკოლებს. კოლეგია არკვევდა და არჩევდა ყველა იმ ახალ საკითხს, რაც კი თანამედროვე პედაგოგიურმა ლიტერატურამ აღძრა.

ახალი პედაგოგიური პერსონალის მომზადება. მუშაობა მრავალმხრივი იყო, მაგრამ ეს მუშაობა ეხებოდა სახალხო განათლების აპარატის მოწყობას ცენტრში, მეთოდიური მუშაობის გაუმჯობესება, პროგრამების შედგენა თუ სხვა რამე, არავითარ ნაყოფს არ იძლეოდა, რადგან ახალი სკოლისთვის საჭირო მომზადებულ მომუშავეთა რიცხვი მეტად მცირე იყო. ამიტომ სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველო მუშაობის დროს უდიდეს ყურადღებას აქცევდა ახალი პედაგოგიური პერსონალის მომზადებას და ძველი პერსონალის გადაქმნას, რისთვისაც ამ უკანასკნელს აცნობდა ერთიანი შრომის სკოლის პრინციპებს და ახალ პედაგოგიკის სხვა დარგებს. ამ აზრით გაიხსნა ცენტრალური საინსტრუქტორო ინსტიტუტი, პირველ ხანს სამი თვის კურსით, ხოლო შემდეგ კი—ექვსი თვის კურსით. კურსების მსმენელთა კონტინგენტს უმთავრესად შეადგენდნენ სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებებიდან და პარტიული ორგანიზაციებიდან გამოგზავნილნი. ამ კურსებმა მოგვცეს 130 მომზადებული მომუშავე. გაიხსნა სკოლის ასაკამდე აღზრდის კურსებიც. ეს კურსები 19 კაცმა გაათავა. ინსტიტუტთან კვირაობით იმართება კითხვები შრომის სკოლის თეორიისა და პრაქტიკაზე მასწავლებელთა და იმ პირთათვის, ვისაც აღზრდისა და განათლების საკითხი აინტერესებს.

ამ ამოცანათა განხორციელების მთავარ მომენტს წარმოადგენს მატერიალური ბაზის გამაგრება. სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს კერძო ინიციატივა და გადასახადის შემოღება შრომის სკოლაში დაუშვებლად მიაჩნია. მთავარ სამმართველოს იმედი აქვს, რომ რეალიზაცია უკვე დაკანონებულ სასკოლო გადასახადისა, რომელიც ყველაზე სამართლიანი და ერთად ერთი შესაძლებელი გადაჭრაა მომავალ მოქალაქეთა მომზადების საქმეში მთელი საზოგადოების მონაწილეობის საკითხისა, გაამაგრებს მატერიალურ ბაზას და ამით შეჰქმნის უკეთეს პირობებს ზემოაღნიშნულ ამოცანათა ცხოვრებაში გასატარებლად.

სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს თავის მორიგ ამოცანათ მიაჩნია:

1. გაძლიერება ბრძოლისა ბავშთა უპატრონობასთან, რისთვისაც საჭიროა გახსნა საბავშო სახლები ა, მაგრამ არა ტფილისში, არამედ პროვინციაში. ამ საქმისთვის გამოყენებულ უნდა იქმნას საკურორტო ადგილები და ეკონომიურად ღონიერი სოფლები.

2. საჭიროა მოწყობა უფრო გაფართოებულ საზოგადო საცხოვრებელისა ყრუ-მუნჯ ბავშვებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშების მიღება პროვინციიდანაც.

3. დამთავრება მშრომელ ბავშვის სახლისა, რადგან დაუშვებელია ერთსა და იმავე შენობაში მოთავსება ნორმალურ და არა ნორმალურ ბავშვებისა.

4. მოწყობა, კოჯორის მსგავსად, მუდმივი შრომის კოლონია-კომუნებისა.

5. მიღება მთელი რიგი ზომებისა განათლების მომუშავეთა კვალიფიკაციის მოსამზადებლად. ამისათვის საჭიროა: ა) ზოგიერთ ტეხნიკუმების პედაგოგიურ ტეხნიკუმებად გადაკეთება; ბ) კონფერენციების მოწყობა როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში; გ) დაარსება პედაგოგიური ინსტიტუტებისა პროვინციის ზოგიერთ ადგილებში, როგორც მაგალითად ქუთაისში, ფოთში და სხვაგან.

6. გაძლიერება მუშაობისა საბავშო ლიტერატურის გამოსაცემად.

7. გამოცემა პედაგოგიური ჟურნალისა, რომელიც ნათელ ჰყოფს პედაგოგიურ აზრის მუშაობას ჩვენს რესპუბლიკაში საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა მიღწევებს.

8. გაძლიერება მუშაობისა სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეში, რისთვისაც რესპუბლიკის მასშტაბში უნდა გაიმართოს საბავშო კლუბები და საბავშო მოძრავი ბიბლიოთეკები.

9. სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველო, იღებს რა მხედველობაში რესპუბლიკის მატერიალურ შესაძლებლობას, თავის ძირითად ლოზუნგად როგორც დროებით ზომას, აღიარებს სასკოლო ცხრილის გაფართოვების შეჩერებას და დღეს არსებულ პედაგოგიური მუშაობის გაღრმავებას.

პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო მოეწყო 1921 წ. ივნისის შუა რიცხვებში. მისი მთავარი ამოცანები იყო.

1. რეორგანიზაცია მაღალი და დაბალი სკოლისა, რომ მათი პროგრამა დაახლოვებოდა პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას და სოციალურ პირობებს.

2. გადაქცევა ამ სკოლისა ხელმისაწვდომად გლეხთა და მუშათა ფართო მასსებისათვის.

3. შექმნა ისეთი სასწავლებლების ტიპისა, რომელნიც, როგორც სწავლის მეთოდებით, ისე პროგრამებით, ეგუებოდნენ მოზრდილ მშრომელთა აუდიტორიას.

პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო გაყოფილ იქნა ოთხ სექტორად;

1) პედაგოგიურ-სოციალურ-ეკონომიური, 2) სასოფლო-სამეურნეო, 3) ინდუსტრიალურ-ტეხნიკური და 4) მუშათა ფაკულტეტი.

საშუალო სკოლის რეფორმა. 1921 წლის ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში არსებობდა სხვა და სხვა ტიპის (ვაჟთა და ქალთა) სახაზინო და კერძო 136 საშუალო სასწავლებელი, სადაც სწავლობ და 42,276 მოწაფე და მასწავლებლობდა 2.986 მასწავლებელი.

პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს მუშაობის პირველი პერიოდი შეეწირა სხვა და სხვა სპეციალობის ტეხნიკუმებისთვის პროგრამების შემუშავებას (შედგენილი იქნა სულ 13 პროგრამა. სწავლის ვადა ყველა სახის ტეხნიკუმებში დაწესდა 4 წელიწადი (2 წლის საზოგადო განათლებისათვის და 2 წელიც სპეციალური განათლებისათვის)

რადგან ჩვენი რესპუბლიკა აშკარად გამოხატულ საშაოთმოქმედო ხასიათს ატარებს, პირველ ხანს განზრახული იყო დაარსებულიყო რაც შეიძლება მეტი სამეურნეო სახის ტეხნიკუმები, სადაც მთავარი ყურადღება მიექცეოდა ერთ-ერთ შემდეგ სპეციალობას: 1) მევენახეობას, 2) მებაღეობას, 3) ხვნათესვას, 4) მესაქონლეობას, 5) ჰიდროტეხნიკას (მელიორაციას) და სხვას. მაგრამ მთავარი სამმართველო იძულებული იყო საკმაო მოწყობილობისა და სახსრის უქონლობის გამო ამ განზრახვაზე ხელი აეღო. მიუხედავათ ამისა, ახლად გახსნილი ტეხნიკუმები მაინც რომელიმე სპეციალობის ტეხნიკუმებს წარმოადგენენ.

ყოფილი პედაგოგიური სემენარიები ტფილისსა, გორსა, ხონსა, ბოდბესა, ოზურგეთსა და ახალსენაკში გადაკეთებულ იქმნენ პედაგოგიურ ტეხნიკუმებად.

პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს რეფორმა უნდა განეხორციელებინა თანახმად შემუშავებული გეგმისა: უნდა დაეტოვებინა ის საშუალო სასწავლებლები, რომლებიც აკმაყოფილებდენ ახალი სკოლის მოთხოვნილებას, ნაწილი სკოლებისა უნდა დაეკეტა, ამასთან ამა თუ იმ სასწავლებლის დაკეტვის დროს მხედველობაში უნდა მიეღო, თუ როგორ არის ამ სასწავლებელში საქმე დაყენებული, ნაწილი უნდა გაეროვნებინა, ნაწილი კიდევ შეერთებინა სხვა უფრო კარგად მოწყობილ სასწავლებლებთან.

მთავარი სამართველო მუშაობას შეუდგა დაუყოვნელივ და ზაფხულის ორი თვის (ივლისის—აგვისტო) განმავლობაში მოახდინა ძირითადი რეორგანიზაცია არსებული სასწავლებლებისა და შეადგინა პროგრამები მომავალი ტეხნიკუმებისთვის. ტფილისში არსებულ დაწყებითი სასწავლებლების და გიმნაზიების პირველი ოთხი კლასისაგან შექმნილ იქნა, სადაც შესაძლებელი იყო, სრულ კომპლექტიანი, რვა კლასიანი ერთიანი შრომის სკოლა, ხოლო გიმნაზიის ოთხი უმაღლესი კლასისაგან (5—8) ტეხნიკუ

*) იხ. „ტრიბუნა“ № 410.

გამო, რომელშიაც მესამე კომინტერნი მოუწოდებს ფაშიზმის წინააღმდეგ ყველა ქალაქების პოლიცია აწარმოებს სასტიკ ჩხრეკას.

პერუჯიაში დაპატიმრებულია 19 კომუნისტი.

ნეაპოლში დაპატიმრებულია ტეხნიკუმის პროფესორი და მრავალი მუშები.

ვენეციაში მოხდა მრავალი ჩხრეკა და დაპატიმრებანი. დახურეს კომუნისტების სტამბა.

ბოლგარეთი

თავდასხმა სტამბულინსკზე

ბორდო. 6 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ სოფიაში ნაციონალურ თეატრში წარმოდგენის დროს ყუმბარა ესროლეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტამბულინსკის. ყუმბარა გასკდა, მაგრამ არავინ არ დაზიანებულა. მსხვერპლი არ არის.

ახალი ამბები

— **საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიიდან. მიწის ძვრა.** საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ ა. წ. 3 თებერვალს საღამოს 8 ნახ. საათზე აღნიშნულია შორეული კატასტროფიული ხასიათის მიწის ძვრა. ეპიცენტრის დაშორება 8 ნახ. 9 ათას კილომენტრამდეა მიწის ძვრის კერა, დაახლოვებით, აზიის აღმოსავლეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულებზე უნდა იყოს.

— **განათლების მუშაკთა სახლმა** გამოუშვა გასასყიდად „ახალი სკოლის ძიები“ სერიის პირველი წიგნი სათაურით: „საგნების გაერთიანების ცდა სკოლების ერთ-ერთ ჯგუფში“. წიგნი რუსულადაა გამოცემული.

— **მილიციის გაწმენდა.** უკვე დამთავრდა მილიციის გაწმენდა მთელ რესპუბლიკაში. კომისართა შემადგენლობის გაწმედა მოხდა სრულიად ცალკე და გამორიცხულთა რიცხვი უდრის 50 პროც. ტფილისზე მოდის ამათგან 35 პროც. სამაზრო კომისების მუშაობა გორში, ახალციხეში და ქუთაისში, ცენტრალური კომისიის მიერ დამტკიცებული არ იქნა, ვინაიდან გამცხრილავ კომისიის შემადგენლობაში შედიოდენ თვით მილიციის უფროსები, აღნიშნულ მაზრებში ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მიერ იგზავნება საკუთარი წევრები განმეორებითი განწმენდის მოსახდენად.

— **„ჩემოს“ საზოგადოებაში.** „ჩემოს“ საზოგადოების წევრთა რიცხვში მიღებული იქნა ახალი ფირმა ევტიხი პ. ავგერინოსი. ამ რიგათ „ჩემოსს“ საზოგადოებაში დღეს-დღეობით ითვლება 24 ფირმა.

— ჭიათურის „ჩემო“-ს საზოგადოების კანტორის გამგეთ დანიშნულია ამხ. კ. ვ. ჯაფარიძე.

— **პროფ-კავშირების ყრილობა.** საბჭოს პროფ-კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მთელი რესპულიკის პროფ-კავშირების ყრილობის დღეთ დანიშნოს ა. წ. 15 აპრილი.

— **ტფილისის აღმასკომის ახალი პრეზიდიუმი.** ტფილისის აღმასკომის წევრთა სხდომაზე მოხდა ხელ-ახალი არჩევნები და გავიდენ ახალ პრეზიდიმში შემდეგი პირნი: თავმჯდომარე—ლადო სუხიშვილი, ნიხეილ კახიანი, სიმონ ჟღენტი, თედო ღლონტი, თაქთაქიშვილი, ყურულოვი, ღენტორ რუხაძე, მინასიანი, მულოვი, ვარძელი და ს. გეგეჭკორი. განყოფილებების გამგეებათ არჩეულნი არიან: კომუნალურის—ამხ. სიმონ ჟღენტი, განათლების—ამხ. ღენტორ რუხაძე. მმართველობის—ამხ. თაქთაქიშვილი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის—ამხ. მინასიანი და საფინანსოსი—ამხ. მ. სმირნოვი.

— **რადიო-დეპეშების ფასი საზღვარგარეთში.** ამიერ კავკასიის ფ. ტ. კომისარიატის მიერ გაცემულია განკარგულება საქართველოს ყველა რადიო დეპეშების უფროსების მიმართ, რადიოგრამმების საფასურად თითო სიტყვაზე—ევროპაში: 150.000 და ამერიკაში—350.000 მანეთი (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით).

— **სამოქალაქო გადასახადის აკრეფა.** სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის სხდომის მიერ, ამხ. თედო ღლონტის თავმჯდომარეობით გარჩეულ იქმნა საკითხი, თუ რა ზომები იქნეს მიღებული მომავალი სამოქალაქო გადასახადის აკრეფის საქმეში და დაადგინა შემდეგი: 1) სამისამართო მაგიდას ევალება სასწრაფოთ გამოარკვიოს ის სახლები და პირები, რომელთაც არ წარმოუდგენიათ სამოქალაქო გადასახადი. 2. სასწრაფოთ იქნეს წარმოდგენილი სია იმ სახლის პატრონთა, კომენდატთა და ან სახლის გამგეთა, რომელთაც არ შემოუტანიათ გადასახადი, თავიანთ მდგომარეობა შესახებ ან არ უცნობებიათ თუ ვინ არ ადგენს გადასახადს. 3. იმ სახლის პატრონები, კომენდანტები, ან სახლის მმართველები, რომელთაც აღმოაჩნდათ გადასახადი შეუტანელი, ან არ ექნებათ შემოტანილი განცხადება, თუ რა მიზეზით ვერ შემოიტანა გადასახადი დაჯარიმებული იქნებიან, თანახმად

მები. ამ მუშაობის შედეგი იყო 108 შრომის სკოლა და 29 ტეხნიკუმი.

ტეხნიკუმებში სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე—4-ში ქართულ რუსულზე—9, რუსულზე—10, სომხურზე—4, გერმანულზე—1, (ყოფილი გერმანული სასწავლებელი) და ფრანგულზე—1 (ყოფილი ფრანგული ლიცეი), ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა სავალდებულოა ყველა ტეხნიკუმებისათვის.

ტფილისსა და პროვინციაში 1921 დამლევისათვის არსებობდა სულ 91 ტეხნიკუმი.

ტეხნიკუმების გადაჯგუფება და მათი რიცხვის შემცირება. 1922 წ. დასაწყისშივე პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო იძულებული გახდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ტეხნიკუმების მდგომარეობისათვის სასწავლო წლის დამლევისთვის გამოირკვა, რომ პროვინციის ზოგიერთი ტეხნიკუმები, რომელნიც სასწრაფოდ იქნენ დაარსებულნი ადგილობრივი რევკომების და სახალხო განათლების განყოფილებების მოხსენებით, ოდნავაც ვერ ამართლებდნენ თავიანთ დანიშნულებას. ეს ტეხნიკუმები, პედაგოგიურად მოუწყობელნი, მძიმე ტვირთად დააწვნენ სახელმწიფოს, მათში მოსწავლეთა რიცხვი ძალიან მცირე იყო და არც მასწავლებელთა კადრი იყო საკმაო. ამასთან მასწავლებელნი უმეტეს შემთხვევაში სრულიადაც მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. ბევრი ტეხნიკუმები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ბევრი არ შეეფერებოდა მიზანს და სრულიად არ ამართლებდა თავის დანიშნულებას. ამ მოვლენამ მთავარი სამმართველო იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უმჯობესია რესპუბლიკაში არსებობდეს რიცხვით ნაკლები, მაგრამ კარგათ მოწყობილი ვიდრე მრავალი და უხეიროდ მოწყობილი ტეხნიკუმები.

ამ აზრით მდგომარე წლის დასაწყისშივე მთავარ სამმართველოსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია ტეხნიკუმების გადასაჯგუფებლად და მათი რიცხვის შესამცირებლად რესპუბლიკაში. თითქმის მთელი ზაფხული მუშაობდა კომისია ამ საკითხზე. შედეგად ამ მუშაობას მოყვა შემდეგი: 1922—23 სასწავლო წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში არსებობდა:

ა) ტფილისში—23 ტეხნიკუმი, ნაცვლად წინანდელი 29-სა.

ბ) პროვინციაში—31 ტეხნიკუმი, ნაცვლად წინანდელი 62, რომელთა უმრავლესობაც ჰუმანიტარული ტიპისაა.

ტეხნიკუმების გადაჯგუფების და შემცირების პროცესმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა: დაკეტილ ტეხნიკუმების მოსწავლეთაგან თითქმის არავინ დარჩენილა სკოლის გარეთ და ყველანი მოთავსებულ იქნენ დატოვებულ ტეხნიკუმებში, სადაც გაიხსნა პარალელები. მასწავლებელთაგანაც უადგილოდ დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი უმრავლესობა კი დატოვებულ ტეხნიკუმებში მოეწყო. სამაგიეროდ ტეხნიკუმების გადაჯგუფებამ და მათი რიცხვის შემცირებამ დიდი სარგებლობა მოიტანა. მან შეძლება მისცა მთავარ სამმართველოს თავისი მცირე თანხით უფრო მეტი დახმარება გაეწია დატოვებულ ტეხნიკუმებისთვის.

პროფესიონალურ განათლების მთავარმა სამმართველომ 1921 წელს მოასწრო შედგენა და გამოცემა მხოლოდ ჰუმანიტარული ტეხნიკუმების პროგრამების და სასწავლო გეგმებისა და განაწილება სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალ ტეხნიკური ტეხნიკუმების კვირეული გაკვეთილების და სასწავლო საგნებისა, რაიც თავის დროზე დაეგზავნა ტეხნიკუმებს და სახალხო განათლების განყოფილებებს. მაგრამ ჰუმანიტარული ტეხნიკუმების სასწავლო გეგმები და პროგრამები არ აღმოჩნდა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი და მათი გადამუშავება და გამოცემა მორიგ საკითხად გადაიქცა მთავარ სამმართველოსთვის.

ამას გარდა საჭირო იყო პროგრამები ინდუსტრიალურ ტეხნიკურ სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ტეხნიკუმებისთვისაც. იმავე ზაფხულს შესდგა ორი სპეციალური კომისია, რომელთაც უკვე შეასრულეს დიდი ნაწილი მუშაობისა და რომელნიც აკადემიური წლის დამლევისთვის სრულიად დაამთავრებენ ზემო აღნიშნულ გეგმებისა და პროგრამების შედგენას.

ტეხნიკუმების გადაჯგუფება და შემცირებამ საჭიროდ გახადა შედგენა პედაგოგიურ-პერსონალის ნორმალური შტატებისა 1 კომპლექტიან 2 და მრავალ-კომპლექტიან ტეხნიკუმებისათვის, რაც თავის დროზე დაეგზავნა ტეხნიკუმებს და სახალხო განათლების განყოფილებებს.

გიმნაზიებიდან ოთხი კლასის გამოყოფამ და მათგან შრომის სკოლის შექმნამ გამოიწვია განაწილება სადგომების და სხვა ხელსაწყოების დ მოწყობილებებისა ტეხნიკუმებს და შრომის სკოლებს შორის. ეს რთული საქმე ამ ჟამად უკვე დამთავრებულია. ამ ბოლო დროს სასკოლო შენობები მეტად ანტი-სანიტარულ და საცოდავ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ: სახურავი იმდენად მოძველდა, რომ წვიმის წყალი ჟონავს, შალესილი კედლები ცვივა, იატაკი ლპება. ბევრ ფანჯარაში მინები ჩამტვრეულია. საჭირო იყო საფუძვლიანი, რემონტი. ამ თანხას წაემატა მიმდინარე ხარჯები: წყლის და განათების ფასი, საკანცელიარო ხარჯი და სხვა.

გადასახადი ტეხნიკუმების ხარჯების დასაფარავად. რესპუბლიკის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ხაზინას არ შეეძლო ყველა აღნიშნულ ხარჯის დაფარვა, ამიტომ განათლების კომისარიატმა ჯერ ისევ შარშან შემოიღო, როგორც დროებითი ზომა, ერთდროული შესატანი მიმღინარე სამეურნეო ხარჯების დასაფარავად: ტეხნიკუმში —100,000 მანეთი, უმაღლეს სასწავლებელში—200,000 მანეთი. ეს შემოსატანი სავალდებულო იყო შეძლებულ მოწაფეთათვის. გამოცემულ იქნა წესები, სადაც გამარტებული იყო ვინ თავისუფლდებოდა ამ შესატანისაგან.

პროფესიონალური განათლების მთავარმა სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებს, რომელიც საანგარიშო წელს მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თუ სხვა ტეხნიკუმები უფულობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდენ, უარეს მდგომარეობაში უნდა ჩაცვივნულიყვნენ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, რომელთაც განსაკუთრებული შინაგანი ორგანიზაციის წყალობით, გაცილებით მეტი თანხა სჭირიათ, ვიდრე პირველი კატეგორიის ტეხნიკუმებს. ზაფხულის დასაწყისშივე სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებისაგან ქაღალდი—ქაღალდზე მოდიოდა: უჩიოდნენ უფულობას. საკვების უქონლობის გამო იხოცებოდა კარგი ჯიშის საქონელი, საცდელი და სხვა ადგილები დაუმუშავებელი რჩებოდა, სადგომები ინგრეოდა, ინვენტარი ცვდებოდა. კომისარიატს თანხა არ ქონდა, აქიტომ ამ ტეხნიკუმების უმრავლესობის შუამდგომლობანი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ასეთმა მდგომარეობამ მთავარი სამმართველო მიიყვანა იმ აზრამდი, რომ აქაც ისევე მოქცეულიყო, როგორც სხვა ტიპის ტეხნიკუმებში მოიქცა, ესე იგი, მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმების გადაჯგუფება და შემცირება. ამიტომ მთავარმა სამმართველომ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებიდან დასტოვა მხოლოდ თბილისის და ქუთაისის ტეხნიკუმები, დანარჩენი კი დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლებად გადააქცია (ლანჩხუთისა და წინაძღვარიანთკარის სასწავლებლები).

(გაგრძელება იქნება)

ბოლოდროინდელი

ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა № 15—გასულ 1922 წ. დეკემბრის 19-სა, მუხლი 11-ასი მანეთი ოქროთი და მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის. გადახდებათ გადასახადი ადმინისტრატიულ წესით, თანახმად ამავე დადგენილებისა მუხლი № 2, შენიშვნა 4. 4. მილიციას ევალება სასწრაფოთ მოიყვანოს სისრულეში კომისიის დადგენილება ადმინისტრატიული წესით გადასახადის შესახებ. 5. ხუთ თებერვლიდან თითეულ უბანში დარჩეს 1—2 ამკრეფი, დანარჩენები გადაყვანილ იქმაენ საკონტ როლო სამუშაოზე, რომელთაც მიეცეს გამოსარკვევად შემოტანილი განცხადებები გადასახადის შესახებ.

პარტიაში

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, საღამოს 7 საათზე „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მხნეობის ფფაქრო

ამას წინად ერთ ნაცნობ კაცს, უბრალო დარაჯს, ვესაუბრე. იმან საინტერესო აზრები გამიზიარა. მეც უნდა გაუზიარო მკითხველს.

ბუნებით ჭკვიანი, სკოლა-გაუვლელი, გაუნათლებელი ადამიანი მთელი თავისი არსებით მელაპარაკებოდა, თვითეულ მის სიტყვაში მოზიარე იყო მთელი მისი წამებული, გამხდარი სხეული, მოელი მისი ნატანჯი, ამის გამო გამჭრიახი სული, გული და აზროვნება. მისი აზრები, თუმც პირველ შეხედვაზე—უბრალო, მართლა ტანჯვით შობილი, წრფელი და ამიტომ თავისებური, ორიგინალური იყო. იმისი მსჯელობა არ ჰგავდა იმ აბეზარ შაბლონს, ტვინის იმ უფერულ ნაღეჭს, სადაც მხოლოდ მშრალი, უგულო გონება, მარტო თავი მონაწილეობს.

„ზოგიერთს ადამიანს, სატაცურსავით, მხოლოდ თავი აქვს გამოსადეგი“,—ამბობს გერმანელი პოეტი—ჰეინრიხ ჰეინე.

„უგულო გონება სატაცურზე დაბლა დგას,—დავსძენთ ჩვენ,—სატაცურის თავი—გემრიელი საჭმელია, უგულო თავი კი—არაფრად გამოსადეგია.

რადგან ჩემი მოსაუბრე დარაჯის აზრები ნათელი ჭკუისა და გულის წრფელი გრძნობით იყო გაშუქებული, ამიტომ ღრმად ჩამწვდა და აღმებეჭდა გულში.

დარაჯი დღევანდელ მძიმე დროებაზე მელაპარაკებოდა. ამ დროის მთელი სიმძიმე მან არა მარტო სიტყვებით, არამედ მიხვრა-მოხვრით, ლაპარაკის კილოთი და თვალის შუქით გამოხატა, პატარა ტანის ადამიანი ჩემ თვალ წინ იგრიხებოდა და იკლაკნებოდა, თითქო რაღაც მძიმე ტვირთს ებრძოდა, თავიდან მოშორება უნდოდა. ცხოვრების სიძვირე, ლუკმა პურისათვის მუდამ დღე ტანჯვით ზრუნვა, დაუსრულებელი ჭაპან-წყვეტა,—ყველა ეს ამ პატარა გამხდარ სხეულს ცხადად დაეტყო, დარაჯის სიტყვებში ნათლად გამოჭკრთოდა. მაგრამ ყველა ეს მსმენელის გულს არ სჩაგრავდა, არ ულრღნიდა, არ უსერავდა. შიგ არ თრთოდა უიმედობის საცოდავი კილო, რომელიც „განათლებულთა“ უმრავლესობას ასე ნათლად ატყვია. დარაჯის ტანჯვა რაღაც იდუმალი გამარჯვების შუქით იყო დაგვირგვინებული, და ამიტომ მხნეობას ჰმატებდა მსმენელს.

— მართალია მეტად მძიმეა ეს ჩვენი დროება,—მითხრა ჩემმა მოსაუბრემ,—მაგრამ განა მძიმე არ არის აღმართში ასვლა? ნელ-ნელა აღიხარ მაღლა, ყველა შენი ძარღვი დაჭიმულია, საგულეში გული დამწყვდეულ ჩიტივით გიჟანცქალებს, ოფლი წურწურით ჩამოგდის, ძალიან ი ჯანჯები, მაგრამ მაინც გულს არ იტეხავ, და ამ გულის სიღრმეში გრძნობ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს აღმართი დაილევა და გამოჩნდება თავდაღმართი, ან თავისუფალი სასიარულო ვაკე ადგილი!

უბრალო სიტყვები იყო, მაგრამ რა ღრმა ფიქრი და გრძნობა, რა იდუმალი და საოცარი გულის მხილება იყო შიგ გამოხატული!

ძველ ბერძენ ათინელებს ერთხელ შიკრიკი მოუვიდათ ბრძოლის ველიდან. საშინლად დაღლილ-მოქანცული, იგი ძლივს იდგა ფეხზე; მტვერსა და ტალასში ამოსვრილი, სულს ძლივს ითქვამდა; მაგრამ ამავე დროს სახე უბრწყინავდა, რაღაც ნეტარების შუქით ჭქონდა განათებული. ამ კაცმა მტერზე გამარჯვების ამბავი მოუტანა სამშობლო ხალხს.

სწორედ ამიტომ, ვინც ამ სასიხარულო ამბავის მომტანი სახეში უცქერდა, არაფრად აგდებდა მისგან ტანჯვით გამოვლილ გზას, საშინელ მოქანცვას. სული ძლიერია, ხორცი კი—უძლური!

ნამდვილ ამგვარი გულგაუტეხავი მხნეობა, მძიმე უიმედობაზე გამარჯვება, იმ მტრის დათრგუვა, რომელიც ყველაზე უფრო საბუთია ადამიანისათვის, აი რა იყო ნათლად გამოხატული ჩემ მოსაუბრე დარაჯის ფიქრებში.

სწორედ ამიტომ, [illegible] ამ ფიქრებში უცქერდი, [illegible] ჩვენი მძიმე [illegible] ჩვენი [illegible] შინელი მოქანცვა. მეც მასწავლა, ნათლად დამანახვა ამ უბრალო მუშამ, რომ სული ძლიერია, ხორცი კი—უძლური!

უნებლიედ გამახსენდა ერთი ამ დარაჯსავით უბრალო რუსი სოფლელი ქალის ნათქვამი. იმის სიტყვებიც ჩვენ დროს შეეხებოდა.

„წინად, როცა შაქარი იაფი იყო ზოგჯერ მურაბას ვხარშავდი და უკვირდებოდიო“,—სთქვა ამ ქალმა: ყოველნაირი სიბინძურე დიდ ხანს ამოდიოდა სამურაბე ტაშტის ფსკერიდან, ზედა პირზე, რომელსაც ქაფქირით მოშორება უნდოდა. მაგრამ მე გულს არ ვიტეხდი რასაკვირველია. დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ, ტაშტის უჩინარ ძირში ბოლოს და ბოლოს რაღაც გემრიელი საჭმელი მოიხარშებოდა. ჩვენი დროც ასეთია: ბევრი სიბინძურე ამოტივტივდა ცხოვრების ზედა პირზე. მაგრამ მაინც გული არ უნდა გავიტეხოთ, მხნედ უნდა ვიყოთ: დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრების უჩინარ სიღრმიდანაც რაღაც ახალი ბედნიერი გზა აღმოჩნდებაო“.

ჩვენებური მუშა და რუსი სოფლელი ქალი! მათი სული და ენა ერთნაირად მეტყველებენ. აი სულთა ნამდვილი ინტერნაციონალი!

პირველ შეხედვაზე გეოცებათ: სად და როგორ მიაგნეს მტკიცე იმედისა და მხნეობის წყაროს ამ არაჩკეულებრივმა ადამიანებმა, უბრალო გლეხის შვილებმა? როგორ მოხდა, რომ ეკრედწოდებული განათლებული ხალხი, ბევრ წიგნში ჩახედული და კაცობრიობის ისტორიის მცოდნე, იმ ისტორიისა, სადაც ყოველი მძიმე ტეხილის შემდეგ თანდათან რაღაც ახალი, უფრო ბედნიერი გზა გამოჩნდება ხოლმე, როგორ მოხდა, რომ ეს განათლებული ხალხი, ეს ინტელიგენცია ხალხში რჩეულ ზოგ გაუნათლებელ ადამიანზე უფრო სასო-მიხდილი და გზადაკვალ დაბნეულია?

ახსნა თვით სიტყვა „ინტელიგენციაში“ უნდა მოვნახოთ. ეს ახალწოდება დღევანდელ განათლებულ ხალხზე ზედ გამოჭრილია. ინტელექტი ნიშნავს ჭკუას, გონებას; ინტელიგენტი ჭკუის, გონების მოვარჯიშე ადამიანს. ინტელიგენტი—ცალმხრივი ადამიანია, ნახევარი კაცია. ჭკუის, გონების გადაჭარბებულმა ვარჯიშობამ მის ჭკუის სიღრმეში დაახშო წრფელი გრძნობა და მხნე გამბედაობის ცოცხალი წყარო.

„ამ კაცის გულში ბუნებით ხაშხაშა გამბედაობის ფიქრმა მოჰკვნინა თავისი მკრთალი შუქი და დაასნეულაო“—ამბობს შექსპირი თავის ჰამლეტზე.

ვინც სულ მუდამ ოავისი სხეულის მუსკულებს ძარღვიან კუნთებს ავარჯიშებს, ძარღვებით ძლიერი, გონებით კი სუსტია; ვინც სულ მუდამ გონებას ძალას ატანს, ცნება ძარღვიანი, გულით კი სუსტია. განსხვავება მხოლოდ იმაშია რომ ძარღვ-მაგარი ადამიანი. ძალუმი ატლეტი, უმრავლესად ჭკუა სუსტი არსება, მძიმე ფიზიკურ ტვირთს მოერევა. დღევანდელი განათლებული ინტელიგენტი კი, რომელსაც მხოლოდ გონების კუნთები აქვს გავარჯიშებული, ცხოვრების მძიმე ტვირთს ვერ მოერევა, რადგან ამ ტვირთის დაძვრას, ამ წუთისოფლის ძნელ აღმართზე ატანას გული და გამბედაობა უნდა.

ზემონათქვამიდან ნათლად სჩანს, რად მოექცა კუდში რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ტეხილს, რევოლიუციას, მთელი განათლებული ინტელიგენცია. ძალიან ვერაგულად მოწყობილი ძველი სკოლა ჰქონდა მას დასრულებული. ამ სკოლის მიზანი იყო ადამიანის თავის ავსება და გულის დაცარიელება. მჩქეფარე გამბედაობის სათავე კი ადამიანის გულის სიღრმეშია დამალული. თავ-სავსე და გულ-ცარიელ ადამიანს კი წონასწორობა არა აქვს: იგი კოჭებში სუსტია; ამიტომ ცხოვრების ყოველი ძლიერი მდინარება ადვილად გადააკოტრიალებს ხოლმე.

კლასიდან კლასში გადადიოდა განათლების გზა-გამოვლილი საწყალი ინტელიგენტი. ყოველ კლასში, ცხოვრებისაგან კარ-ჩაკეტილ ოთახში, მას თანდათან უსპობდნენ სიცოცხლის ძალას. ყველა ამას აწარმოებდნენ მშრალი წიგნის, სამშარი დასჯის და არა ნაკლებ საშიშარი გამოცდა-ეკზამენების და კლასში დატოვების საშუალებით.

ერთ ახირებულ ინგლისელს ძალიან ეცოდებოდა თავისი საყვარელი ფინია,

და ამიტომ ერთბაშად არ მოსჭრა კუდი არამედ ყოველ დღე ცოტ-ცოტა, ნაჭერ-ნაჭერ სჭრიდა და აცლიდა. ძველი წყობილების ბატონებსაც განათლებული კაცი თავის საყვარელ ერთგულ ფინიად მიაჩნდათ; ამიტომ ერთბაშად არ უხშობდნენ ამ ადამიანს თავისუფლების შემქმნელ სიცოცხლის ძალას, არამედ ყოველ წელს ცოტა-ცოტა კლასიდან კლასში, ნაჭერ-ნაჭერ სჭრიდნენ და აცლიდენ.

ველური კარაიბები მიცვალებულის საფლავზე ჰკლავენ ყველა მის ყმებს. ამნაირად ამ ყმებს თავის ბატონს საიქიოს გამოადევნებენ და იქ ამსახურებენ. ჩვენი ძველი ველური ბატონები კი უფრო ჭკვიანად ირჯებოდნენ: საიქიოს გამგზავრებამდის თავისუფალი ადამიანის შექმნელ გაბედულ გრძნობას ჰკლავდნენ, მოსწავლე თაობის გულში. განათლებულ ადამიანს ამნაირად ბოლოს და ბოლოს ცოცხალ მკვდარად აქცევდნენ და ამ წუთისოფელში, თავის საკეთილდღეოდ, სიტყვა-შეუბრუნებლად იმსახურებდნენ.

დღევანდელი ინტელიგენცია, „ვრცელ აზრიანი“ და სულ-მოკლე ხალხი უნდა თანდათან გაქრეს, იმისი დღეები დათვლილია ახალი გახათლებული ადამიანის შემქმნელი—სოფელი და ქარხანაა, ის ნამდვილი „შრომის სკოლა“, სადაც ადამიანი შრომის დროს შეიძენს ცოდნას. არა დღევანდელი სოფელი, არა დღევანდელი ქარხანა, სადაც ადამიანი განუწყვეტელი შრომის გამო სულით და ხორცით იჩაგრება, არამედ ის მომავალი სოფელი და ის მომავალი ქარხანა, სადაც სულისა და სხეულის ვარჯიში-განვითარება მწყობრად, ჰარმონიულად იქნება შეთანხმებული.

ამ მომავალი შრომის სკოლის სათავე უკვე სჩანს ჩვენ ცხოვრებაში. მე უკვე გაგაცანით ამ მომავალი სკოლის ახალი ინსტრუქტორი—მასწავლებლები—ჩვენებური ქარხნის მუშა და რუსი სოფლელი ქალი. ძვირი სანახავია ასეთი სამაგალითო სულდგმულნი დღევანდელ სოფელსა და ქარხანაში, მით უფრო ძვირად ფასობენ ისინი.

იმათ არსებაში გულისა და გონების მწყობრი თანხმობა, ნამდვილი ჰარმონიაა; ამიტომ ასე ღრმად განსჭვრიტეს იმათ დღევანდელი დროის ამოცანა, ნამდვილი ალლო აუღეს, ამიტომ ასე მხნედ მიაქვთ ცხოვრების ტვირთი ამ დროის მძიმე ალმართში.

ილია ნაკაშიძე.

შალვა კარმელი

ამიერიდან შალვა კარმელის სახელი შავს არშიებში უნდა ჩაისვეს. ახალგაზრდა პოეტის ნაზი არსება უდროოდ მოჰკვეთა ამიერ ქვეყანას ულმობელმა სენმა.

შალვას ლექსების კონა ძვირფასად დარჩება ქართულ ლიტერატურაში. მაგონდება შალვა, როდესაც მიძღვნა მისი ლექსების წიგნი „ბაბილონი“ რომელსაც წააწერა „ძღვნად მეგობარს“...

მართლაც და შალვა არ შეიძლებოდა მეგობარი არ გამხდარიყო მისი, ვინც მას დაუახლოვდებოდა. მისი არსება განსახიერება იყო გულწრფელობის, თანაგრძნობის. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან იგი ტანჯვის უმწვერვალესობას განიცდიდა.

ტანჯვა პოეზიით, შემოქმედებით, ტანჯვა სენით, თავისი ფიზიკით. ტანჯვა ჭონებრივი, მატერიალური შეერთებული იყო ფერმკთალი ყმაწვილის ნაზ პროფილზე.

ტანჯვა ხომ მორალური ცეცხლია, რომელიც პიროვნებას აფაქიზებს, ამშვენიერებს.

შალვა ლოგინად ჩავარდა. სასიკვდილო სარეცელზე იბრძოდა იგი. მისი მეგობრები დადიან მასთან. მე მასთან არ მივსულვარ. ვერც მივიდოდი. ძნელი იყო ყოველივე იმის ატანა, რაც შალვას ოთახში ხდებოდა და რაც მესმოდა მის მეგობრებისგან.

შალვა ქუთაისში გაამგზავრეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი სამუდამოთ გაგვშორდა. მისი აჩრდილი დარჩა ჩვენს წინაშე.

აჩრდილი ახალგაზრდა პოეტის თავისი ოცნებითა და ტანჯვით, თავისი სევდითა და ნაღველით.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას შალვა კარმელის შესახებ, მაგრამ შალვა პოეტი იყო და მხოლოდ მისი პოეზიის პრიზმით უნდა იქნეს განხილული მისი პიროვნება.

თქვენ მის პოეზიაში იპოვით შალვას პორტრეტს, შალვას განცდას, შალვას პიროვნებას. ეს აღემატება ჩვენს პატარა მოგონებას. ამისათვის საჭიროა ხელოვნის კალამი.

განისვენე ძვირფასო შალვა. ჩენი „ბაბილონი“ წარწერით, მოძღვნილი ჩემდამი, იქნება შენთან საუბრის საშუალება.

მაპატიე, რომ არ გნახე. არ გნახე იმიტომ, რომ ვიცოდი გაგვშორდებოდი სამუდამოდ და მინდოდა უკანასკნელი შენი ხსოვნა არ ყოფილიყო ჩემში დარჩენილი სასიკვდილო სარეცლისაგან.

დღეს შენი ცოცხალი აჩრდილი და წიგნი არის ჩემთან, როგორც თავდები განუყრელი ხსოვნისა.

ეუფეჩილი ამბები

ნერილები სოფლიდან

კარტოფილის შესახებ.

კარლოფილი იგივე მეორე პურია, ამიტომ ქართველებმა უთუოდ ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ მისი მოყვანა და ის საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობენ მის მოსავლის გადიდებას. ერთი ასეთი საშუალება სხვათა შორის არის კარტოფილის ყვავილის შეკვეცა დანით ანუ საკაზე მაკრატლით (რომლითაც ვაზებს სხლავენ). კარტოფილის ყვავილის შეკვეცა თითქმის ერთი-ორად ადიდებს მოსავალს და ამიტომ ურიგო არ იქნება სცადონ ეს ჩვენმა მეურნეებმა, როგორც უცდია ეს ერთ პოლტაველ გლეხს და მართალი გამომდგარა. როცა შეკვეცის მერე ზოგიერთი ყვავილი ხელმეორედ ამოსულა, გლეხს ისიც შეუკვეცია და მიწა ისე ამობერილა კარტოფილის გასხვილებისა და ბღარტობისაგან მიწაში, რომ კარტოფილი გამოჩენილა, რადგანაც მიწაში აღარ ეტეოდაო...

ჩივიან, რომ კარტოფილი კარგად არ მოდისო! ამის მიზეზი უმთავრესად სათესლე კარტოფილის სიკარგეზეა დამოკიდებული და ამიტომ კარტოფილის ამოღების დროს, ჯერ პალოებით უნდა დანიშნოთ კარტოფილის ის ბუჩქები, რომლებიც მძლავრად არის გაზრდილი, პირველად ესენი გადათხაროთ და რომელშიაც მართლა კარგი მოსავალი აღმოჩნდება, იმის კარტოფილი შეინახოთ სათესლედ, რადგანაც რომელი სათესლეც კარგ მოსავლიან ძირიდამ იქნება აღებული, ის კვლავაც კარგ მოსავალს მოიცემა...

ესეც საშუალება შეიძლება ვიხმაროთ ჩვენებური დაკნინებული პურის (ხორბლის) გასაუკეთესებლად და მოსავლის გასადიდებლად. მომწიფდეს ყანა თუ არა, ერთი-ორი დღის წინეთ მომკამდე, შემოუარეთ თქვენს ყანებს გარშემო და დასჭერით—მოკრიფეთ სავაზე მაკრატლით ყველა ის თავთავები, რომლებიც შესანიშნავია სიდიდით და მარცვალთა სიუხვით. (რადგანაც ნაპირებზე უკეთესი იზრდება) ასე მოკრეფილი თავთავი გალეწეთ ცალკე ან დაფშვნიტეთ ხელთათმან ჩაცმული ხელებით და შეინახეთ ცალკე სათესლედ... მიიღებთ მუდამ გაცილებით უკეთეს და მეტს მოსავალს...

კარტოფილის მოსავალს ხელს უწყობს აგრეთვე დასველება მისი ორ პროცენტიან შაბიამნიან წყალში 5--6 კვირის წინ (მარტში) დათესვამდე. კარტოფილი უნდა დარჩეს შაბიამნიან წყალში არა უმეტეს ერთი დღე-ღამისა (24 საათისა), ამის შემდეგ წამალი გადაღვარეთ ან სხვა ხეებს (ატმებს) მოასხურეთ და დაასხით ახლა სუფთა წყალი, გააჭანჭყარეთ ჭურჭელი რომ კარტოფილი გაირეცხოს და წამოყარეთ, გააშრეთ კარგად და შეინახეთ საკუჭნაოში დათესვამდე. სათესლე კარტოფილს იმისთვის ასველებენ შაბიამნიან წყალში, რომ მოსპონ და დახოცონ ის სოკოები და მავნე ბაქტერიები, რომლებიც აკვრია კარტოფილს, ხოლო რეცხავენ იმიტომ, რომ მოაშორონ კარტოფილს ზედ შერჩენილი შაბიამანი, რომელიც თუ მეტს ხანს შერჩა კარტოფილზე, კვირტებს (თვლებს) დასწვავს კარტოფილისას... კარგია ორ-პროცენტიანი შაბიამნიანი წყლით მოსხურება აგრეთვე თვით ამოსული კარტოფილის ფოთლებისა და ღეროებისა ერთხელ-ორჯელ მთელი ზაფხულის განმავლობაში... შეასრულეთ ზემოთ-მოყვანილი დარიგება და მიიღებთ მარად გაცილებით მეტს და უკეთეს კარტოფილს.

ერთი საინტერესო ცნობაც უნდა გაუზიარო მკითხველს და მოვათავებ კიდეც ლაპარაკს კარტოფილის შესახებ. რა წამაც აიღოს თოელი და მიწა გამოშრეს, გასჭერით საშუალო სიდიდის კარტოფილები, ორად, ხოლო დიდები ოთხად და გაჭრილი მხრით ჩათესეთ პირდაპირ შემოდგომიდამ დაბარულს თუ მოხნულს ზედაპირ მიწაში, თითო არშინზე ერთმანერთზე. დააყარეთ თვითეულ ძირს იქვე მახლობლად ბარით აღებული მიწა იმდენი, რომ დაფაროს კარგად კარტოფილი და დასტოვეთ ასე, სანამ ამოვიდოდეს. როცა კარტოფილი გაიზარდოს ერთ მტკაველამდე, მოუთოხნეთ გარშემო და აყარეთ კვლავ მიწა ღეროების წვერებამდე შემდეგ როცა შეატყოთ, რომ ახლა კი დროა ნორჩი კარტოფილის ხმარებისა ოჯახში, გამოუჩიჩქნეთ თითებით (არა რომელიმე იარაღით) ძირი და გამოიღეთ მოზრდილი კარტოფილები, წვრილებს ხელს ნუ ახლებთ და კვლავ მიწა მიაყარეთ. დროს მიმავლობაში კარტოფილი თითონ შეგატყობინებთ, რომ მზათ არის, იმით, რომ თავს გამოჰყოფს აქა-იქ და ამ სახით შეგიძლიანთ იხმაროთ იგი მთელი ზაფხულის განმავლობაში ულეველად და თან თვით ბუჩქების მოუძლელად. დაგრჩებათ ბლომათ ზამთრისთვისაც. ასე მოყვანა კარტოფილის იმით არის კარგი, რომ ნიადაგი არ უძლურდება და თუნდა ათი წელიწადი სთესოთ ასე კარტოფილი, მიწა არ მოიღლება და მოსავალსაც მუდამ კარგს მოგცემსთ...

ივანე როსტომაშვილი.

ᲩᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

გამომცემლობის გაუმჯობესება.

სახელმწიფო გამომცემლობამ გადასდვა 5 მილიარდი მან. მუშაობის გასაცხოველებლად. განზრახულია ქაღალდის შეძენა პირველ რიგში, შემდეგ შეუდგებიან წიგნების გამოცემას წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით: მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სახელმძღვანელოებს: შემდეგ გამოცემული იქნება მარქსისტული ლიტერატურა, თარგმანები საერთაშორისო ლიტერატურიდან და ქარ. კლასიკური ლიტერატურა. პირველ რიგში განზრახულია შემდეგი ავტორების გამოცემა: ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, აკ. წერეთლის; გამოცემული იქნება ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი შექსპირის დრამები; ვასილ ბარნოვისა და შიო არაგვისპირელის მოთხრობები. გამოიცემა აგრეთვე შალვა დადიანის პიესები ერთ ტომად. სამეცნიერო ნაწარმოებიდან გამოიცემა პაულე ინგოროყვას „რუსთველიანა“. გადადებულია 500 მილიონი ფიროსმანიშვილის მონოგრაფიის გამოსაცემად, რომელიც მინდობილი აქვს ტ. ტაბიძეს და კ. იზლინეიჩს.

საავტორო ჰონორარი. სახ. გამომცემლობის მიერ შემუშავებულია საავტორო ჰონორარი ორიგინალურ პროზისა, ლექსების და სხვა ნაწარმოებთათვის.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ხელთნაწერები. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სახ. უნივერსიტეტის რექტორს პროფ. ივანე ჯავახიშვილს აღმოუჩენია ძველი ხელთნაწერები. ნაწერები შეეხება მეექვსე საუკუნესა და მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ ახალგაზრდა მეცნიერებაში. ტფილისის უნივერსიტეტი ახდენდა საგანგებო ექსპედიციებს. ექსპედიციების მიზანს შეადგენდა ძველი წარწერების მონახვა უძველეს ეკლესიებზე. პროფ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ ხელთნაწერების შემდეგ შესაძლოა ძირეულად შეიცვალოს ქართული ენის ფორმების ცვლის და პოლიტიკო—ეკონომიური ისტორიის შესახებ არსებული აზრები. ამავე დროს მეტად დიდი ღირებულება აქვს აღმოჩენილ ხელთნაწერებს ქართული ენის განვითარების შესწავლისათვის. მათი საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა წმინდა ქართულ ენის შესწავლისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აღმოჩენებს აქვს ისეთი ხასიათიც. როგორც ვიცით, პატივცემული პროფესორი ახლო მომავალში წაიკითხავს მოხსენებას ახლად აღმოჩენილ ხელთნაწერების შესახებ.

აკადემიკოს ნიკო მარრის მოგზაურობანი. დიდი ხანია არსებობს მეცნიერებაში ის შეხედულება, რომ ბასკური ენა ნათესაურ დამოკიდებულებაშია ქართულ ენასთან. ნიკო მარრის მოგზაურობამ ესპანეთში 1920 წლის დასაწყისს ნათელი მოჰფინა ამ შეხედულებას. აღმოჩნდა, რომ ბასკური ენა მონათესავეა ქართულებრივი ენებისა და ეკუთვნის იაფეტურ ენათა ჯგუფს.

გასულ წელს აკადემიკოსი მარრი კვლავ გაემგზავრა ესპანეთში ბასკურ ენის დაწვრილებით გამოკვლევის მიზნით. ესპანიიდან მარრი დაბრუნდება მიმდინარე წლის გაზაფხულზე და გამოიკვლის საქართველოში. როგორც ვიცით, მარრის გამოკვლევებს დიდი ინტერესი გამოუწვევია ბასკებს შორის. რამოდენიმე ახალგაზრდა ბასკი მეცნიერი აპირებს მარრთან ერთად საქართველოში ჩამოსვლას ჩვენი ენისა და ქვეყნის შესასწავლად.

კონცერტი ᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგა **იდა ფიდელმანის** მუსიკალური სტუდიის მოწაფეთა—საღამო.

საღამოზე გამოვიდნენ მთელი რიგი სტუდიელი მოწაფეების, რომელთაგან აღსანიშნავია მცირე-წლოვანი და ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი—**შლიმანი.** მასში ეხლავე გამოსჭვივის უეჭველი სერიოზული ნიშნები, მომავალი გამოჩენილი ვირტუოზისა.

შემდეგ გაიმართა ებრაულ სიმღერების კონცერტი. ვოკალურ აღმსრულებლათ გამოვიდა სახელმწიფო ოპერის მსახიობი აგრანოვსკი, რომელმაც შეასრულა მთელი რიგი სალონურ და სასულიერო-საეკლესიო ხასიათის სიმღერებისა, წმინდა ებრაულ მუსიკით. მიღწევა უსათუოთ კარგი მქონდა, მაგრამ სასიმღეროების რეპერტუარი, ერთფეროვანის ჰარმონიითა და მელოდიით მოსაწყენია.

ვიოლონჩელზე დამკვრელი ქალი გარბუზოვა მშვენიერი იყო ებრაულურ მელოდიის „Iol Nidrei“-ს შესრულებაში.

დისონანსი შექმნა კონცერტში, საბალეტო მოცეკვავე ქალი რატუშენკოს გამოსვლამ, ვაკხანალურათ-ოპერიდან „სამსონ და გალილა“.

მეორე დღეს შესდგა საღამო ქ-ნ ანდრონიკოვა-ვასიელიევისა, ფრიად საინტერესო პროგრამით. თუმცა აღმსრულებელთა შემადგენლობაში არ იყო დიდი სახელები, მაგრამ ნიჭიერმა და გაკვირვებულმა შესრულებამ მონაწილეთაგან, დასტოვა საუკეთესო შთაბეჭდილება. აღვნიშნავ ქ-ნ **ალეინიკოვის** დამოსვლას (რახმანოვისა და დარგომიჟსკის რომანსებით). მომღერალ ქალს მშვენიერი ხმა აქვს და შესრულებაც მოფიქრებული და მხატვრულათ გადმოცემული.

შემდეგ, საგანგებო მუსიკალობით შეასრულა ორი რომანსი, რუსულ რეპერტუარიდან ბ. ვეჩერკოვსკიმ. აგრეთვე ჰუსიკალური იყო. ბ. აივაზოვის „Oriental“-ი ვიოლონჩელზე „Isoldes Liebeslod და Lorelei—ლისტისა ქ-ნ ხოსროევის მიერ.

საღამო დასრულდა პროფესორ ილჩენკოს გამოსვლით, რომელმაც ჩვეულებრივის სისრულით შეასრულა შოპენის ნოკტიურნები, ქ-ნ ანდრონიკოვის საგანგებოთ დახელოვნებულ აკომპანიმენტით.

პ. ბებუთოვი.

კონცერტი მეორე კონსერვატორიაში.

საკამერო საღამოები მეორე სახელმწიფო კონსერვატორიაში, თანდათან იპყრობს—სერიოზულ მუსიკის მოყვარულთა ყურადღებას. ორ უკანასკნელ საღამოზე, დარბაზი გაჭედილი იყო დაკვირვებული სმენის აუდიტორიით.

24 იანვრის, საკამერო საღამოს მთელი პროგრამმა შესდგებოდა კომპოზიტორ **გლიერის** ნაწარმოებებისგან (კიევის კონსერვატორიის დირექტორი). შესრულებული იქნა—ვიოლინოს S—moll და S—moll.

მომღერლებმა შესანიშნავათ შეუგუეს ხმა ერთმანეთს და ორივე კვარტეტი ძლიერი მხატვრული ეფექტით ჩაატარეს. განსაკუთრებით კარგად ისმოდა მე-2 ნაწილი (Sargo) კვარტეტისა—S—moll, სადაც საუცხოოდ მომართულმა მელოდიამ, სავსებით დაიპყრო მსმენელი აუდიტორია.

საღამოზე, ექსპრომტად გამოვიდა, ტფილისის საყვარელი სტუმარი, ცნობილი იტალიელი მსახიობი ბ. **ვაგგი,** ნაცვლად თავისი მეუღლის—მომღერალ სპანიოლა ვაგგისა, რომელიც უეცრად ავად გამხდარიყო.

თუმცა მსახიობის გამოსვლა შემთხვევითი ხასიათის იყო, მაგრამ ხელოვანი ყოველთვის თავს იჩენს და აქაც, შესრულება დიდებული იყო.

მსახიობს აქვს კარგი tenore-di forza რომლის დიაპოზანი ფართო და თანაბარ-ხმიერია ყველა რეგისტრებში. ხმის თავისუფალი და ძალდაუტანებელი ტკბილი დენა, შესრულება არტისტიული და წმინდა იტალიური ხასიათის ტემპერამენტით.

ვაგგიმ იმღერა ლეონკოფილლო პაიაციდან არია „პაიაცისა“ და კოვარდოსსის არია პუჩიოს ოპერიდან „ტოსკა“. დიდებულმა შესრულებამ—აღტაცებაში მოიყვანა ფართო აუდიტორია.

2 თებერვლის საკამერო საღამოს პროგრამმა მიძღვნილი იყო რუსეთის დიდი ლირიკოსის-ჩაიკოვსკის ნაწარმოებებზე.

ტრიო ჩაიკოვსკისა მიძღვნილია ნიკოლოზ რუბინგტონისადმი. (En memoir d'un qrand artist)

შესრულებული იქმნა შესანიშნავი კვარტეტი D-moll, პოპულიარული andate-თი, რუსულ სახალხო თემაზე და ცნობილი trio l-moll, როიალისა, ვიოლონჩელისათვის.

უცნაური ნაწარმოებია ეს trio. მასში იმდენი მუსიკალური მიმზიდველობის სილამაზეა, რომ არც ერთი სეზონი არ ჩაივლის, რომ ეს trio არ იქნას წარმოდგენილი, და საზოგადოებაც ღრმა ინტერესით გამსჭვალული აკოცხლებს აუდიტორიას. განსაკუთრებით, როდესაც ეს trio სრულდება, ისეთის საგანგებოთ შემსრულებელთა შემადგენლობით, როგორიც იყო საკამერო საღამოზე, მეორე კონსერვატორიაში.

ბრწყინვალედ ჩაატარა, საძნელო პარტია ფორტეპიანოზე ნიჭიერმა ალექსანდრე **ზეილიგერმა.** ვიოლინოზე უკრავდა კვირტეტის კონცერტმეისტერი ბ. **ილჩენკო** და ვოლონჩელზე—პროფესორი **ცოვიანოვი.**

ჩემის ფიქრით, მხოლოდ ეს სახელებიც საკმარისი იქნება, იმის დასამტკიცებლად, თუ როგორის ეფექტით იქნებოდა ჩატარებული ეს trio.

საკამერო საღამოზე გამოვიდა სახელმწიფო ოპერის მსახიობიც ქ-ნი **პეტლიაში,** რომელმაც შეასრულა მთელი რიგი ჩაიკოვსკის რომანსებისა.

პ. ბებუთოვი.

—

— შაბათს, თებერვლის 10-ს, აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიის სტუდიელთა დამხმარე კასის ფონდის გასაძლიერებლად, რუსთაველის ყველა დარბაზში მოწყობილი იქნება დიდი საღამო, ტფილისში ჯერ არ ნახული პროგრამით. საღამოში მონაწილეობას იღებენ ტფილისის საოპერო და დრამატიულ სცენების საუკეთესო მსახიობები. სამხატვრო კომისიაში მოწვეულნი არიან: ალ. ახმეტელი, აკაკი ფალავა, კ. მარჯანიშვილი და მ. ქორელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომეტეტი.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომ.
ᲗᲔᲗᲠᲘᲡ
ხუთ-ალაგიან ცოტათი ნახმარს ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ „ფორდის“ სისტემის.
ცნობების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში (ბარიატინის ქუჩა № 5).
3—2 საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700
საქართ. ფმადლ. მეურ. საბჭ. ჰოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.